

# ჩეხიონათი მათემატიკაში

## ნახევარფინალი

### 5 კლასი

სახელი, გვარი \_\_\_\_\_ სკოლა \_\_\_\_\_

#### ამოცანები რომლებიც 3 ქულით ფასდება

1) მოცემული ცხრილის მიხედვით, რამდენი ამოცანა აქვს ამოხსნილი ნიკას, თუ მას 4-ჯერ ნაკლები ამოცანა აქვს ამოხსნილი, ვიდრე დანარჩენებს ერთად?

	ამოხსნილი ამოცანების რაოდენობა
მარი	604
სოფო	708
ანა	644
ნიკა	?

- 1) 492      2) 489      3) 484


2) იყოფა, თუ არა უნაშთოდ 9-ზე 765?

- 1) კი      2) არა

3) რომელი რიცხვი უნდა გავამრავლოთ 14-ზე, რომ მივიღოთ 1078?

- 1) 77      2) 87      3) 15092      4) 14092

4) რიცხვით პირამიდაში თითოეულ ცარიელ უჯრაში უნდა ეწეროს მის ქვედა ორ მეზობელ უჯრაში ჩაწერილი რიცხვების ჯამი. რა რიცხვი უნდა ეწეროს ყველაზე ზედა უჯრაში?



- 1) 287      2) 297      3) 307

5) კახას ჰქონდა 227 კალამი. მან კიდევ შეიძინა 18 კოლოფი. თითოეულ კოლოფში იდო 11 კალამი. ამის შემდეგ კახამ გააჩუქა 185 კალამი. რამდენი კალამი დარჩა კახას?

- 1) 425 კალამი      2) 240 კალამი      3) 60 კალამი      4) 53 კალამი

6) პირველი დანადგარი 10 წუთში ამზადებს 7 სათამაშოს. მეორე დანადგარი 30 წუთში ამზადებს 20 სათამაშოს. რამდენ სათამაშოს დაამზადებენ ისინი ერთად 5 საათში?

- 1) 200 სათამაშოს      2) 210 სათამაშოს      3) 410 სათამაშოს      4) 550 სათამაშოს

7) ლუწია თუ კენტი ქვემოთ მოცემული გამოსახულების მნიშვნელობა?

$$207462 : (793 - 306) =$$

- 1) ლუწი      2) კენტი

8) საცხოვრის ყოველთვიური გადასახადი შეადგენს მის მიერ გამოიმუშავებული მოგების 1/6 ნაწილს. ოქტომბრის თვეში საცხოვრისმა გამოიმუშავა 780 ლარი. რა თანხა დარჩება საცხოვრის ოქტომბრის თვეში გადასახადის გადახდის შემდეგ?


- 1) 910 ლარი      **2) 650 ლარი**      3) 550 ლარი      4) 130 ლარი

9) რისი ტოლია გაფერადებული ფიგურის ფართობი?

**1) 853 კვადრატული მილიმეტრის**

2) 843 კვადრატული მილიმეტრის

3) 848 კვადრატული მილიმეტრის



10) რიცხვით მიმდევრობაში პირველი წევრია 5625, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი მიიღება წინა წევრის 5-ზე გაყოფით. რისი ტოლია ამ მიმდევრობის მე-5 წევრი?

- 1) 25-ის      **2) 9-ის**      3) 7-ის      4) 1-ის

11) ლუკა კვირაში 5 დღე მეცადინეობს, დღეში 6 საათი. 1 კვირის განმავლობაში ლუკამ 10 საათი მათემატიკის მეცადინეობას მოანდომა. 1 კვირის განმავლობაში მეცადინეობისათვის განკუთვნილი დროის რა ნაწილი მოანდომა ლუკამ მათემატიკის მეცადინეობას?

- 1) 1/2 ნაწილი      **2) 1/3 ნაწილი**      3) 1/5 ნაწილი      4) 1/6 ნაწილი

12) ელექტროენერჯის გადასახადის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მარიამს ეკისრება ჯარიმა. გადახდის თარიღისთვის გადაცილებულ ყოველ დღეზე ჯარიმა შეადგენს 46 ლარს. მარიამმა გადახდა დააგვიანა 6 დღით. რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრა მარიამს?

- 1) 276 ლარი**      2) 46 ლარი      3) 44 ლარი      4) 279 ლარი

13) მოცემული საყიდლების სიიდან იამ 2 პროდუქტი შეიძინა. ყველაზე მეტი რამდენი შეიძლება გადაეხადა მას?

- 1) 8 ლ 25 თ      **2) 7 ლ 88 თ**      3) 8 ლ 15 თ

საყიდლები	ფასი
კივი	3 ლ 58 თ
მსხალი	4 ლ 30 თ
ორცხობილა	1 ლ 26 თ
ფორთოხალი	3 ლ 27 თ

14) ქვემოთ მოცემულ ტოლობაში რას უდრის k?

$$15 + k \times (1 + 32) = 675$$

- 1) 20**      2) 21      3) 22

15) სამნიშნა რიცხვში ადგილები შეუცვალეს, ასეულების თანრიგში მდგომ ხუთიანსა და ერთეულების თანრიგში მდგომ სამიანს. როგორ შეიცვლება ეს რიცხვი?

- 1) გაიზრდება 198-ით      2) გაიზრდება 208-ით      3) შემცირდება 198-ით

**ამოცანები რომლებიც 4 ქულით ფასდება**

16) მოცემული გაქვს თორმეტნიშნა რიცხვი, რომლის მე-6 ციფრია 6, ხოლო მე-8 ციფრია 5. რას უდრის ამ რიცხვის პირველი ორი ციფრით ჩაწერილი რიცხვი, თუ ცნობილია, რომ ამ თორმეტნიშნა რიცხვის ნებისმიერი სამი მომდევნო ციფრის ჯამია 13?

- 1) 13      2) 25      3) 56      4) ამის გაგება შეუძლებელია

17) 1 მუშა 1 საათში 10 კალათა ატამს კრეფს. რამდენ კალათა ატამს მოკრეფს 35 მუშა 10 საათში?

- 1) 35 კალათა ატამს      2) 350 კალათა ატამს      3) 3500 კალათა ატამს      4) 3535 კალათა ატამს

18) ეზოში ბავშვებს აქვთ 11 ველოსიპედი. ზოგი ველოსიპედი ორბორბლიანია, ზოგი კი – სამბორბლიანი. ეზოში სულ რამდენი ორბორბლიანი და რამდენი სამბორბლიანი ველოსიპედი, თუ ბავშვების ველოსიპედებს სულ აქვთ 23 ბორბალი?

- 1) 1 ორბორბლიანი და 10 სამბორბლიანი      2) 7 ორბორბლიანი და 3 სამბორბლიანი

- 3) 10 ორბორბლიანი და 1 სამბორბლიანი      4) ამის გაგება შეუძლებელია

19) A და B ქალაქებს შორის 100 კილომეტრია. მოასწრებს, თუ არა A ქალაქიდან გასული ავტომანქანა 145 წუთში B ქალაქში ჩასვლას, თუ იგი იმოძრაავებს 40 კმ/სთ სიჩქარით?

- 1) მოასწრებს      2) ვერ მოასწრებს

20) საახალწლო ფასდაკლების გამო მაღაზიაში ყველაფრის ფასი გახდა ძველი ფასის  $\frac{2}{3}$  ნაწილი. ფასდაკლებამდე ხელთათმანი ღირდა 36 ლარი. რა ღირს ახლა 3 ასეთივე ხელთათმანი?

- 1) 24 ლარი      2) 48 ლარი      3) 72 ლარი      4) 162 ლარი

21) კატო 2 წლის განმავლობაში იღებდა ხელფასს. ყოველ ზაფხულს იგი 320 ლარს გამოიმუშავებდა. წლის დანარჩენ თვეებში იგი ერთსა და იმავე ხელფასს იღებდა. რამდენ ლარს იღებდა კატო წლის დანარჩენ თვეებში, თუ 2 წლის განმავლობაში მან სულ 9640 ლარი გამოიმუშავა?

- 1) 375 ლარს      2) 500 ლარს      3) 750 ლარს      4) 1000 ლარს

22) ორი ერთნაირი ნესვი 8 კილოგრამით მეტს იწონის, ვიდრე ერთი საზამთრო. რამდენი კილოგრამით მეტს აიწონის ნახევარი ნესვი მეოთხედ საზამთროზე?

1) 2 კგ-ით

2) 4 კგ-ით

3) 8 კგ-ით

4) 16 კგ-ით

23) ტურისტები 7 დღის განმავლობაში ყოველდღიურად დღეში ოც კილომეტრს გადიოდნენ. რამდენი დღე დასჭირდებოდათ ტურისტებს ამ გზის გასაგლეჯად, თუ ისინი პირველ დღეს გაივლიდნენ ხუთ კილომეტრს, ხოლო ყოველ მომდევნო დღეს კი წინა დღეზე ხუთი კილომეტრით მეტს?

1) 4 დღე

2) 5 დღე

3) 6 დღე

4) 7 დღე

24) მდინარის დინების სიჩქარე 7 კმ/სთ-ია, ხოლო კატერის საკუთარი სიჩქარე კი 76 კმ/სთ. კატერმა 5 საათი იმოძრავა მდინარის დინების მიმართულებით, 5 საათი კი მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. სულ რამდენი კილომეტრი გაიარა კატერმა?

1) 690 კმ

2) 750 კმ

3) 760 კმ

4) 830 კმ

25) ოთახში სულ 12 ადამიანი იყო. ერთ-ერთმა ყველას დაურიგა სამ-სამი ათთეთრიანი, ხოლო მეორემ კი ყველას დაურიგა ოთხ-ოთხი ხუთთეთრიანი. რამდენი თეთრი დაურიგებია ორივეს ერთად?

1) 500 თეთრი

2) 530 თეთრი

3) 550 თეთრი

4) 600 თეთრი

### ამოცანები რომლებიც 5 ქულით ფასდება

26) მაკას შეუძლია 3 პერანგი გარეცხოს 20 წუთში. სალომეს შეუძლია 35 ასეთივე პერანგი გარეცხოს 5 საათში. რამდენი საათი დასჭირდებათ ორივეს ერთად 96 ასეთი პერანგის გასარეცხად?

1) 5 საათი

2) 6 საათი

3) 7 საათი

27) იაკოს და ნატალის ოც-ოცი თხილი ჰქონდათ. იაკომ ნატალის რამდენჯერმე მისცა სამი თხილი. ნატალი მისთვის მიცემული ყოველი სამი თხილიდან ერთს ჭამდა. რამდენჯერ მისცა იაკომ ნატალის სამი თხილი, თუ ცნობილია, რომ ნატალის 6-ჯერ მეტი თხილი გაუხდდა, ვიდრე დარჩა იაკოს?

1) 5-ჯერ

2) 10-ჯერ

3) 15-ჯერ

4) ამის გაგება შეუძლებელია

28) დიდ და პატარა ქილებში გარკვეული რაოდენობის წყალი ასხია. თუ დიდი ქილიდან პატარა ქილას ბოლომდე შევაგვებთ, დიდ და პატარა ქილებში წყლის რაოდენობა გათანაბრდება, ხოლო, თუ პატარა ქილიდან წყალს მთლიანად გადავასხამთ დიდ ქილაში, მაშინ დიდი ქილა შეივსება ნახევრამდე. რამდენი ლიტრი წყალი ეტევა პატარა ქილაში, თუ დიდ ქილაში ეტევა – 32 ლიტრი?

1) 4 ლიტრი

2) 8 ლიტრი

3) 16 ლიტრი

4) ამის გაგება შეუძლებელია